

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძველი ქართული ენის კათედრის შრომები
ტომი 25, 1984

#18

აკაკი შანიძე

თანხმოვანთ გასაყარი ხმოვანი ძველ ქართულში

ცნობა თანხმოვანთ გასაყარი ხმოვნის შესახებ ჯერ კიდევ „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ მეონდა შეტანილი (§481), შემდეგ კიდევ „ძველი ქართული ენის გრამატიკაშიც“ (§162). აქ კი საგანგებოდ მინდა შევუხო ამ საკითხს, თანაც ძველი ქართული ენის ძეგლების მიხედვით, სადაც საქმის ვითარება უფრო ნათელია, ვიდრე ახალ ქართულში.

თანხმოვანი გასაყარს ვეძახი ხმოვანს, რომელიც თავს იჩენს მაშინ, თუ ერთ სიტყვაში თავს იყრის ორი ისეთი თანხმოვანი, რომელთა წარმოთქმა ძნელია. ასეთ შემთხვევაში ენა თიშავს თანხმოვნებს ი ხმოვნის ჩართვით მათ შორის. ასეთი თანხმოვნები ჩვეულებშივ ზმნას მოუდის ბოლოში. ამათგან ერთი თანხმოვანი შეიძლება ფუძისეული იყოს და მეორე – მაწარმოებელი (პირის ან რიცხვის ნიშანი), ან შეიძლება, რომ ერთიც მაწარმოებელი იყოს და მეორეც. ასეთი ძნელად წარმოსათქმელი თანხმოვნებია უმთავრესად: **დთ, დნ, ნნ, ცთ, ცნ**, თუ ისინი ზმნის ფორმის ბოლოს მოდიან. მათ ნაცვლად ჩვეულებრივია: **დით, დინ, ნინ, ცით, ცინ**. სათანადო მაგალითები უმთავრესად ოთხთავის ენიდან იქნება დამოწმებული. რომ უფრო ნათელი იყოს საქმის არსი, საჭირო ფორმები მოყვანილი იქნება შეპირისპირებით: მხოლობითი – მრავლობითი, მე-2 პირი – მე-3 პირი.

დთ>დით

1-ლისა და მე-2 პირის ფორმები მრავლობითი რიცხვისა ძველ ქართულში, ისე როგორც ახალში, იწარმოება მხოლობითი რიცხვის სათანადო ფორმისაგან, რომელსაც დაერთვის ბოლოს **თ**, რომელიც ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანია ამ ორი პირის გრამატიკულ რიცხვებს შორის ყველა მწკრივსა და კილოში: თხრობითში, ბრძანებითში, კავშირებითში. მაგალითები: მოვკალ – მოვკალთ, მოჰკალ – მოჰკალთ, მოკალ – მოკალთ, მოვკლა – მოვკლათ, მოჰკლა – მოჰკლათ; დავწერო – დავწეროთ, დასწერო – დასწეროთ და მისთანანი. ამიტომ ვედ ფუძისაგან ნაწარმოები ზმნები (მოვედ, მივედ, შევედ, განვედ, წარვედ და სხვები)

წყვეტილის 1-სა და მე-2 პირში, აგრეთვე II ბრძანებითის მე-2 პირში მრავლობითი რიცხვის ფორმის წარმოებისას **დთ** კომპლექსს უნდა გვაძლევდეს: *მოვედთ, *მოხუედთ, ბრძ. *მოვედთ, მაგრამ, რადგანაც ასეთი ფორმები ძნელი წარმოსათქმელია, **დთ** ბგერებს შორის ვითარდება **ი**, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მრავლობითის ფორმა ადვილად წარმოვთქვათ: ჩუენ მოვედით, თქუენ მოხუედით, ბრძ. მოვედით. მაგალითები:

#19

მხ. წარვედ სახიდ შენდა (მ.9,6).

მრ. წარვედით და უჩუენენით თავნი თქუენნი მდდელთა (ლ. 17,14).

მხ. შევედ საუნჯესა შენსა (მ.6.6).

მრ. შევედით იწროდსაგან ბჰისა (მ. 7,13E).

მხ. მეცა კაცი ვარ ჳელმწიფებასა ქუეშე განწესებულ და მეონან ჩემ ქუეშე ერისა კაცნი; და ვჰრქვ: მას წარვედ! და წარვიდის. და სხუასა: მოვედ! და მოვიდის (ლ. 7,6).

მრ. წარვედით და მოიმოწაფენთ ყოველნი წარმართნი (მ. 28, 19 ხანმეტი ლექციონარი).

მოვედით და მოვკლათ იგი (მ. 21, 38; მრ. 12, 7; ლ. 20, 14).

მხ. მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა (მ. 5, 24).

მრ. მივედით და უთხართ იოვანეს (მ. 11, 4; ლ. 7, 22).

მოყვანილ მაგალითებში **დ** ყველგან ფუძისეულია, როგორც მაწარმოებელი, **დ** გვხვდება სავრცობად მოქმედებითი გვარის ზმნებში, მაგ., **ვხედევ-დ** მე ეშმაკსა (ლ. 10, 18); თქუენ თანა ტაძარსა შინა ვჯედ და **გასწავებ-დ** (მ. 26, 5): რომელი დაჰჰსნი-დ ტაძარსა მას (მ. 27, 40). ასეთივე ფორმებია: **ვჰყოფდ**, **ჰყოფდ**.

მხ. ვიდოდე და შენცა ეგრევე ჰყოფდ (ლ. 10, 37).

მრ. ყოველი, რომელი გინდეს თქუენ, რადთა გიყონ თქუენ კაცთა, ეგრეცა თქუენ ჰყოფდით მათა მიმართ (მ. 7, 12).

მსგავსი მაგალითებია მრავლობით რიცხვში: **ითხოვდით** და მოგეცეს თქუენ, **ეძიებდით** და ჰპოვოთ, **ირეკდით** და განგელოს თქუენ (მ. 7, 7); სნეულთა **განჰკურნებდით**, კეთროვანთა განსწმედდით, ეშმაკთა **განასხემდით**. უსასყიდლოდ მიგიღებთ, უსასყიდლოდცა მისცემდით (მ. 10, 8); **ჰამდით** და **სუემდით** მათ თანა (ლ. 10, 7).

დნ>დინ

II ბრძანებითის მწკრივის მე-3 პირის ფორმას მხოლობითში აწარმოებს **ნ**, რომელიც უშუალოდ დაერთვის იმავე მწკრივის მე-2 პირის ფორმას მხოლობითშივე, მაგ. **ყავ-ყავნ**, **მოკალ-მოკალნ**, **დაწერე-დაწერენ** და მისთანანი. მაგრამ. თუ ზმნას ფუძის ბოლოს აქვს **დ**, მაშინ მე-3 პირის ნიშნის დართვისას

მივიღებთ **დნ** კომპლექსს, რომელშიც გამოთქმის გასაადვილებლად თანხმოვანთ გასაყარი **ი** გაჩნდება: **დინ**. ბოლო თანხმოვნად რომ **დ** მოუდიოდეს, ასეთი ზმნებია: **კედ, კუედ და ვედ**.

2. **გარდამოკედ** მაგიერ ჯუარით (მ. 27, 40).

3. **გარდამოკედ** მაგიერ ჯუარით (მ. 27, 42). **გარდამოკედინ** ჯუარით (მ. 15,32).

2. **მოკუედ**.

3. რომელმან ბოროტი თქუას მამისათვის და დედისათვის, სიკუდილით **მოკუედინ** (მრ. 7, 10).

მსგავსი ვითარება გვაქვს ორი **ნ**-ს ერთად შეყრისასაც (მაგალითები **ნ**. ქვემოთ).

კედ ზმნის ფორმები მე-2 პირის მხოლოდითი რიცხვისა ზემოთ არის დამოწმებული ძეგლებიდან. აქ კი დაუმოწმებლად მოვიყვანთ:

#20

2. **მოვედ**.

3. **მოვედინ** სუფევად შენი, იყავნ ნებად შენი (მ. 6, 10).

იგივე **ნ** ხმარება I ბრძანებითის მე-3 პირის ფორმაშიც.

I ბრძანებითის მწკრივს იგივე ფუძე აქვს, რაც უწყვეტელს. მაგალითები:

2. განისუენე, ჭამე, სუ და **იხარებდ** (ლ. 12, 19).

3. **იხარებდინ** სული ჩემი (ლ. 1,47 CE).

3. ეგრე ბრწყინევდინ (**ნათობდინ C**) ნათელი თქუენი წინაშე კაცთა (მ. 5, 6).

3. უკუეთე ვისმე სწყუროდის, **მოვედინ** ჩემდა და **სუემდინ** (ი. 7, 37). აქ პირველ ზმნაში **დ** ფუძისეულია (მო-ვედ-ინ), მეორეში კი – მაწარმოებელი (სუემ-დ-ინ).

ნთ>ნით

ხანმეტ ლექციონარში იკითხება:

წარვედით და **მოიმოწაფენტ** ყოველნი წარმართნი (მ. 28, 19). აქ „მოიმოწაფენტ“ ფორმაში თნხმოვანთ გასაყარი ხმოვანი არ არის განვითარებული, მაგრამ სხვა ხელნაწერებში ამავე ადგილას უკვე მოიმოწაფენით იკითხება (CDE).

საზოგადოდ, II ბრძანებითსა და წყვეტილში თითქმის საყოველთაოდ გატარებულია გასაყარ-ხმოვნიანი ფორმები როგორც მოქმედებითი გვარის ზმნებში, ისე ვნებითისაში: **დაჰჰსენით** ტამარი ესე (ი. 2, 19). **განჰჰსენით** ეგე (ი. 11, 44) **შეუკრენით** მაგას კელნი და ფერკნი (მ. 22, 13); **აღიხილენით** თუალნი და **აღიპყრენით** კელნი (ლ. 21, 28C); **განმზადენით** გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი (მ. 3, 3); **განიცადენით** შრომანნი ველისანი (მ. 6, 28); **დაისხენით** სიტყუანი ესე ყურთა თქუენტა (ლ. 9, 44); მაშინ იწყონ სიტყუად მთათა

(მიმართ); **დამეცენით** ჩუენ! და ბორცუთა: დამფარენით ჩუენ (ლ. 23, 30); **იხილენით** კელნი ჩემნი და ფერჳნი (ლ. 24, 39); განემორენით (მ. 9, 24- განეყენენით C) და მრავალი სხვა.

ნნ>ნინ

კსენ ფუძისაგან გვაქვს ბრძანებითის ფორმები:

2. **იკსენ** თავი შენი (ლ. 26, 37 CE).

3. **იკსენინ** თავი თჳსი (იქვე D).

რწმენა ზმნისაგან გვაქვს:

3. ნუ იქმნები ურწმუნო, არამედ გრწმენინ (ი. 20, 27).

ამ მაგალითებში პირველი **ნ** ფუძისეულია, მეორე **ნ** კი – მე-3 პირის სუბიექტური ნიშანი მხოლოდითი რიცხვისა.

მომდევნო მაგალითებში კი, რომლებიც მოყვანილია პარხლის ოთხთავის ანდერძიდან (ეს ოთხთავი დაიწერა 973 წელს), პირველი **ნ**-ც მაწარმოებელია (უფრო ზუსტად: მაწარმოებლის ნაწილი).

აქ ერთგან იკითხება: ქრისტემან ყოველნი **ადიდენინ** მოწყალებითა მისითა ჟამთა უკუნისამდე! მეორეგან იკითხება: აწ ვინცა ღირს იქმნეთ აღმოკითხვად და მსახურებად წმიდასა ამას სახარებასა, მოიკსენეთ სული ჩემი ცოდვილი წმიდათა შინა ღოცვათა თქუენტა, და ყოველთა ერთობით **მოგუანიქენინ** ღმერთმან კეთილნი საუკუნენი!

#21

მესამეგან კი თვით ოთხთავის დამწერია მოხსენებული: მე ივანე-ბერმან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა. ყოველნი **კურთხენინ** ღმერთმან!

სამსავე მაგალითში ენ პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშანია, უკანასკნელი **ნ** კი – მე-3 პირის სუბიექტური ნიშანი მხოლოდითი რიცხვისა. მათ შორის თანხმოვანთ გასაყარი **ი** არის განვითარებული.

ცთ>ცით, ცნ>ცინ

ც ძირისაგან ნაწარმოები ფორმა **მეც** შეიძლება თხრობითიც იყოს და ბრძანებითიც. თხრობითია აქ: წყალი ფერჳთა ჩემთა არა **მეც** (ლ. 7, 44) და ბრძანებითია აქ: **მეც** მე წყალი (ი. 4, 10) იშვიათია, რომ მრავლობითის ნიშანი **თ** უშუალოდ დაერთოს მხოლოდითის ფორმას, როგორც, მაგალითად აქ: მშიოდა და **მეცთ** მე ჭამადი, მწყუროდა და მასუთ მე (მ. 25, 35) ჩვეულებრივ კი აქაც თანხმოვანთ გასაყარი ხმოვანია განვითარებული: მშიოდა და **მეცით** მე ჭამადი, მწყუროდა და მასუთ მე (მ. 25, 42 C); მშიოდა და არა **მეცით** მე ჭამადი (მ. 25, 42); **ეცით** თქუენ მას ჭამადი (მრ. 6, 37C); **მეცით** ჩუენ ზეთისაგან თქუენისა (მ. 25, 8).

იგვე ხდება აგრეთვე მე-3 პირის ბრძანებითის ფორმაში, აქაც თანხმოდანთ გასაყარი ხმოდანი იქენს თავს: რომელმან დაუტეოს ცოლი თჳსი, **ეცინ** მას განსატევებელი წიგნი. (მ. 5, 31C). ამის ბადლად DE-ში იკითხება: რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი, **მიეცინ** მას განსატევებელი.

თანხმოდანთ გასაყარი ხმოდანი სხვა ზმნებშიც გვხვდება, როგორიცაა აღდგომა, დადგრომა, დადება და სხვა. მაგალითები:

მხ. აღდეგ, აღილე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა (მ. 9, 6).

მრ. აღდეგით და წარვედით ამიერ (მრ. 14, 42).

ბრძანებითის ფორმა მე-3 პირის მხოლოდითი რიცხვისა ამ ზმნისაგან არის „აღდეგინ“: **აღდეგინ** ღმერთი და განიბნინედ ყოველნი მტერნი მისნი, ივლტოდედ მოძულენი მისნი პირისა მისისაგან! (ფსალ. 67, 2).

მხ. **დაადგერ** ჩუენ თანა, რამეთუ მწუხ არს (ლ. 24, 29).

მრ. რომელსა ქალაქსა ანუ რომელსა დაბასა შეხვდეთ, გამოიკითხეთ, ვინ ღირს იყოს, მუნ **დაადგერთ** ვიდრე გამოსლვადმდე მიერ (მ. 10, 11).

მხ. მოვედ და დასდევ კელი შენი და ცხონდეს (მ. 9, 18); უკუეთუ შენ აღილე იგი, მითხარ მე, სადა **დასდევ**, რადთა მე წარმოვიღო იგი. (ი. 20, 15);

დამდევ კელი შენი გუერდსა ჩემსა (ი. 20, 27).

მრ. სადა **დასდევით** იგი (ი. 11, 34).

როგორც აღნიშნული მაქვს („ძველი ქართული ენის გრამატიკა“, § 162), თანხმოდანებს შორის განვითარებული ხმოდანი **ი** შეიძლება მრავლობითიდან მხოლოდითში გადმოვიდეს, როგორც, მაგ., აქ: **მივედი** პირველად და დაეგე მმასა შენსა (მ. 5, 24 C). უფრო ხშირია ასეთი მოვლენა უწყვეტელსა და I ბრძანებითში: შეწ **მომდევი** მე და აცადენ მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა (მ. 8, 22).

#22

იშვიათად არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ძნელად გამოსათქმელი თანხმოდანები ერთად იყრის თავს, მაგრამ მათ შორის თანხმოდანთ გასაყარი ხმოდანი არ ჩნდება. ასეთია, მაგ., შემდეგი ადგილი: ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ **განსწმედთ** გარეშესა სასუმელისასა და პარაფსიდისასა (მ.23, 25).

მსგავსი ფორმები გვხვდება „სხდომა“ ზმნისგან აწმყოში: **ვსხედთ**, **ჰსხედთ** (**ვსხედით** და **ჰსხედით** იქნება წყეტილის ფორმები).

ასეთივეა აგრეთვე ორი **ნ** ნარზე ფუძე-გათავებულ ზმნათა აწმყოს ხოლმეობითში: რომლისაჲ არნ სძალი, იგი სიძჳ არნ, ხოლო მოყუარი სიძისაჲ მის, რომელი დგან და **ისმენნ** მისსა, სიხარულით იხარებ კმასა მის სიძისასა (ი. 3, 29 C); მოძღუარ, მოვიყვანე ძჳ ჩემი შენდა, რომლისა თანა არს სული უტყუებისაჲ, და სადაცა დააპყრის. დააკუეთის, და პეროვინ და **იღრჳენნ** კბილთა (მრ. 9, 17-18);

ვითარცა ელვად რად გამობრწყინდის მზის აღმოსავალით და ჩანს ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს მოაღვად ძისა კაცისაჲ. (მ. 24, 27)*.

* უკანასკნელ მაგალითზე ლევან კიკნაძემ მიმითითა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.